საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	15	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	15	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	20
პროფესიული თვისებები	10	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	70	100

გოგა კიკილაშვილი _____ **_27 / _06 / 2025**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
არამოსამართლე წევრი
გოგა კიკილაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2025 წლის 10 აპრილის N1/35 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

თამარ ალფაიძის
შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. „საბჭოს“ 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა **თამარ ალფაიძე** (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „კანონის“ 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით და ჩემი მონაწილეობით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „კანონის“ 34² მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. „საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

2.1.1. „კანდიდატი“ 46 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის დოქტორი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 25 წელია, კერძოდ:

- 2000 - 2005 წლები - სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის ლაბორანტი (თსუ);
- 2005 - 2007 წლები - ასოცირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტში. მაგისტრატურის დეპარტამენტის უფროსი;
- 2006 - 2009 წლები - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი;
- 2009 – 2015 წლები - ასოცირებული პროფესორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი;
- 2016 - 2023 წლები - პროფესორი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

- 2023 - 2024 წლები - ასოცირებული პროფესორი, კავკასიის სამართლის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი
- 2022 წლიდან - დღემდე - მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მასწავლებელი, თსუ.
- 2024 წლიდან - დღემდე - მოწვეული ლექტორი, წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.

2.1.2. „კანდიდატის" შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის თავისუფალი აზროვნების სტილს, პროფესიული პრინციპებისადმი ერთგულებას, სამართლიანობას, გულისხმიერებას, კეთილშობილებას და სხვა დადებით თვისებებს. გამოკითხულთაგან ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, კანდიდატის საკმაოდ თავისუფალი აზროვნების, ადამიანებისადმი იმთავითვე დადებითად განწყობის სტილს, რეკომენდატორი აქვე უთითებს, რომ აღნიშნული არის თუ არა სისუსტე/ნაკლოვანება - თავად რეკომენდაციის წამკითხველმა განსაჯოს.

გამოკითხული რესპოდენტებიდან ერთი რესპოდენტი კადიდატის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ, მის პროფესიულ კვალიფიკაციას - კარგად. მეორე რესპოდენტი კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ კვალიფიკაციას იცნობს საშუალოდ. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ერთ შემთხვევაში უჭირთ შეფასების გაკეთება. კომპეტენტურობის კრიტერიუმით ერთი რესპოდენტი კანდიდატს აფასებს ზოგიერთ შემთხვევაში კარგად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში უჭირს შეფასება. მეორე რესპოდენტი კი აფასებს ძალიან კარგად ან კარგად, ერთ შემთხვევაში - მინიმალურად

2.1.3. „კანდიდატის" შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია მისი პროფესიული საქმიანობის, სხვადასხვა თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის შესახებ.

2.1.4. „კანდიდატს" სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. „კანდიდატის" ეკუთვნის მიწის ნაკვეთი 2849 კვ.მ. ვანის რაიონის სოფელი ფერეთა; მიწის ნაკვეთი 563 კვ.მ. თეთრიწყარო, სოფელი ამლიკი (უნივერსიტეტის აგარაკები)/ორბეთი (სისტემური რეგისტრაციის მიმდინარე პროცესი).

მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არის რეგისტრირებული; (თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მოანცემებზე დაყრდნობით, სტატუსი შეჩერებულია, თუმცა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებით, სტატუსი აქტიურია).

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, „კანდიდატი" 18 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.

„კანდიდატი" მხარედ მონაწილეობდა ორ დასრულებულ სამოქალაქო კატეგორიის საქმეში. კერძოდ:

1) მოსარჩელე იყო სს „ბანკი რესპუბლიკა", მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი: ხელშეკრულების შეწყვეტა; ფულადი ვალდებულების შესრულება, თბილისის საქალაქო სასამართლო;

2) მოსარჩელე იყო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი: ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად ფულადი თანხის დაკისრება; თბილისის საქალაქო სასამართლო.

ასევე, „კანდიდატი" დაზარალებულად იყო ცნობილი სისხლის სამართლის ერთ საქმეზე. მითითებულ საქმეზე ერთი პირის მიმართ გამოტანილია განაჩენი.

2.1.6. „კანდიდატმა" წარმოადგინა გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულში გამოქვეყნებული შემდეგი სტატიები:

- „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება";
- „სამართლისა და მორალის ევოლუცია";
- „ჰუმანური სამართალი";
- „ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება".

2.1.7. „კანდიდატს" მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში, მაგ:

- JUSTICE - ჰარვარდის უნივერსიტეტი - 2014 წელი;
- International Human Rights - University de Catolique 2014 წელი;
- Leaders of Learning - Harvard University 2014 წელი;
- ტრენინგი - The center for global communication studies at the annenberg schcool for communication, university of pensilvania, 2012 წელი;
- ტრენინგი - teaching ict pollicy skills, 2012 წელი;
- ტრენინგი - training on media regulations, 2011 წელი;
- AI Regulation A Micro Course for Lawyers, Neiron ACADEMY, 2021 წელი.

2.1.8. „კანდიდატს" არ აქვს ჩაბარებული მოსამართლეობის ან პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა, არც ადვოკატთა ტესტირება აქვს გავლილი.

2.1.9. „კანდიდატი" ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას (იხ: ზემოთ, 2.1.1 პუნქტი).

საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად ნომინირებულია აკადემიური ნაშრომი იურიდიული მეცნიერების დარგში - "სამართალმცოდნეობის შესავალი" საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N15/09/01;

საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად ნომინირებულია სამეცნიერო ნაშრომი "მედია სამართალი", საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N03/11/01.

2.1.10. „კანდიდატს", საკუთარი ავტორობით/თანაავტორობით, გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები:

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები, თსუ, 2006 წელი;
- მედია სამართალი, თამარ ალფაიძე, პოლიგრაფ თბილისი, 2008 წელი;
- შესავალი სამართალმცოდნეობაში, თამარ ალფაიძე, პოლიგრაფ თბილისი, 2009 წელი;

- სამართალმცოდნეობის შესავალი, (მეორე გამოცემა), თამარ ალფაიძე, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 2015 წელი;
- ინფორმაცია, ინფორმაციული უსაფრთხოება და ინფორმაციული დანაშაული (მონოგრაფია - გამოსაქვეყნებელი). (კანდიდატის მიერ განაცხადში მითითებული ინფორმაციის თანახმად).

2.1.11. „კანდიდატი" ფლობს ინგლისურ, ესპანურ და რუსულ ენებს.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

2.2.1. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატს „საბჭოს" წევრებმა დაუსვეს ზოგადი და სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის" პასუხები არ იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული, შეკითხვების ნაწილს მან საერთოდ არ უპასუხა და განმარტა, რომ არ სურს შეცდომის დაშვება, ამიტომ თავს შეიკავებს პასუხის გაცემისგან. კანდიდატი ძალიან ღელავდა, გაუჭირდა საბჭოს წევრებთან კომუნიკაცია და მის მიერ გაცემული პასუხებიც იყო ფრაგმენტული და არასათანადოდ არგუმენტირებული.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

3.1. კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება ეფუძნება საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული დოკუმენტური მასალების (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მივედი შემდეგ დასკვნამდე:
სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის მიმართ კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს კეთილსინდისიერების შემდეგ კომპონენტებს:
ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი";
ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა";
გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა";
დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია".
3.2. „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლით - **„პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი"**, შეფასების დროს ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული გაზომვების თანახმად, გაითვალისწინება: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

3.2.1. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ მაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანო კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისში, ამიტომ მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმს.

3.2.2. „კანდიდატი" არის პრინციპული, ძალუძს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, აქვს ზეგავლენის მიმართ მედეგობა და პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა, რის გამოც მივიჩნიე, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმვე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.

3.2.3. „კანდიდატი" კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჭერილი, აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

3.2.4. „კანდიდატს" აქვს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ავტორიტეტი აკადემიურ წრეებში; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

3.2.5. ვინაიდან მივიჩნიე, რომ „კანდიდატი" კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 4-ვე მახასიათებელს აკმაყოფილებს, გავაკეთე „კანონის" 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: **„კანდიდატი" სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის" შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. *„კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის „სამართლის ნორმების ცოდნის"* [1] *მაქსიმალური შეფასება „კანონის" 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად შეადგენს 25 ქულას.*
შეფასების 2.2. პუნქტში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა სამართლის და სასამართლო პრაქტიკის მინიმალური ცოდნა,

[1] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-9 პუნქტით.

თუმცა მისი აკადემიური მიღწევების გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ ეს შეიძლება განპირობებული იყოს ემოციური მდგომარეობით, ამიტომ „სამართლის ნორმების ცოდნის“ კომპონენტით „კანდიდატს“ ვაფასებ 15 ქულით.

4.1.2. *„კანონის“ 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი გათვალისწინებული* ***„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“***[2] *მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 25 ქულით.*

„კანდიდატმა“ საჯარო მოსმენის დროს ვერ გამოავლინა ლოგიკური მსჯელობის და დასაბუთების უნარები. მის კომპეტენციაზე მსჯელობისას საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ კანდიდატს აქვს აკადემიურ სფეროში მუშაობის წარმატებული პროფესიული გამოცდილება. თუმცა, მას არ გააჩნია არათუ მოსამართლედ, არამედ პრაქტიკოს იურისტად მუშაობის რაიმე გამოცდილება.

„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ *მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 15 ქულით.*

4.1.3. იმის გათვალისწინებით, რომ კანდიდატთან ზეპირი კომუნიკაცია საჯარო მოსმენის ფორმატში პრაქტიკულად ვერ შედგა, შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილ წერილობით მასალებს და პრეზუმფციას, რომ წარმატებული აკადემიური კარიერის მქონე პირს უნდა გააჩნდეს ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი.

„წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ *მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 15 ქულით.*

4.1.4. *„კანონის“ 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილია „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული* ***„პროფესიული თვისებების“***[3] *მახასიათებლის მაქსიმალური შეფასება – 15 ქულა.*

მომიებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ არის მიზანდასახული და შრომისმოყვარე და აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა არ ავლენს მოსამართლის პროფესიისთვის აუცილებელ ემოციურ მედეგობას.

„პროფესიული თვისებების“ *მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 10 ქულით.*

4.1.5. . *„კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი „აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა“*[4] *ამავე „კანონის“ 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 10 ქულით.*

„კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს; ამდენად, მას გააჩნია საერთოდ ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საფეხესე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ „კანდიდატს“ არ აქვს ჩაბარებული/გავლილი არც ერთი პროფესიული (მოსამართლეობის, პროკურატურის, ადვოკატის) გამოცდა/ტესტირება.

---

[2] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-10 პუნქტით.
[3] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-12 პუნქტით.
[4] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-13 პუნქტით.

„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 10 ქულით.

4.1.6. *„კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის“[2] მახასიათებლის მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 5 ქულას.*

„კანდიდატი“ იმვიათად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავდა ღიად და თავისუფლად, გამოიჩენდა ინიციატივას და წამოაყენებდა იდეების/წინადადებებს. თუმცა, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.*„პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 5 ქულით.*

4.2. აღნიშნულიდან გამომდინარე, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, „კანდიდატს“ ვანიჭებ 70 ქულას.**

გოგა კიკილაშვილი 27 / 06 / 2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი

---

[2] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-14 პუნქტით.